




ხაშურის მთაშენი



№5 (186)

4 თებერვალი, ორშაბათი,

2019 წელი

საქართველოს მთავრობის

განკარგულება №96

2019 წლის 28 იანვარი, ქ. თბილისი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ

განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1, მიეცეს უფლება ხაშურის მუნიციპალიტეტს, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის №55 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 4081 (ოთხი ათას ოთხმოცდაერთი) ლარი, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 27 ივლისის №1453 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 2304 (ორი ათას სამას ოთხი) ლარი, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის №311 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ეკონომიის ნაწილი - 38547 (ოცდათვრამეტი ათას ხუთას ორმოცდაშვიდი) ლარი, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ეკონომიის ნაწილი - 84339 (ოთხმოცდაოთხი ათას სამას ოცდაცხრამეტი) ლარი, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 აგვისტოს №1480 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ეკონომიის ნაწილი - 66226 (სამოცდაექვსი ათას ორას ოცდაექვსი) ლარი, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ეკონომიის ნაწილი - 23577 (ოცდასამი ათას ხუთას სამოცდახუთმეტი) ლარი, „სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 ნოემბრის №2529 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ეკონომიის ნაწილი 69136 (სამოცდაცხრა ათას ასოცდათექვსმეტი) ლარი, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №1251 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ეკონომიის ნაწილი - 670 (ექვსას სამოცდაათი) ლარი, „საქართველოს რეგიონებში განსახ-

ორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ეკონომიის ნაწილი - 33605 (ოცდაცამეტი ათას ექვსას ხუთი) ლარი, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ეკონომიის ნაწილი - 143559 (ას ორმოცდასამი ათას ხუთას ორმოცდაცხრამეტი) ლარი, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის №1213 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ეკონომიის ნაწილი - 23832 (ოცდასამი ათას რვაას ოცდათორმეტი) ლარი, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 აპრილის №693 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ეკონომიის ნაწილი - 772 (შვიდას სამოცდათორმეტი) ლარი, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის №1401 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ეკონომიის ნაწილი - 4919 (ოთხი ათას ცხრაას ცხრამეტი) ლარი, ჯამში - 495567 (ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი ათას ხუთას სამოცდაშვიდი) ლარი, მიმართოს ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული პროექტების განსახორციელებლად.

2. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, ეთხოვოს ხაშურის მუნიციპალიტეტს, ამავე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული განკარგულების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიის შესახებ (თითოეული ღონისძიების მითითებით) ინფორმაციის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის წარდგენა.

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე

პროექტის დასახელება

ქ. ხაშურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მინი სტადიონისა და სკვერის მოწყობა
ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში მინი სტადიონის მოწყობა
ქ. ხაშურში, ვეფხვაძეების უბანში მინი სტადიონის მოწყობა
ქ. ხაშურში, ტაბიძის ქუჩაზე არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაცია
ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტეხერში ამბულატორიის მოწყობა
ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია
ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სურამში, ცნობილი უკრაინელი პოეტი-სა და მწერლის ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის სრულმასშტაბიან რეაბილიტაციას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მუნიციპალური განვითარების ფონდთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის საფუძველზე განახორციელებს.

მემორიალური სახლის აღდგენისა და სამუზეუმო მოწყობის ინიციატივა საქართველოში უკრაინის სრულუფლებიან ელჩს იგორ დოლ-

გოვს ეკუთვნის, რომელიც სარეაბილიტაციო პროცესში აქტიურად იქნება ჩართული.

ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის სრული რეაბილიტაცია უახლოეს მომავალში იგეგმება

კონსტრუქციულ გამაგრებასთან და მისი ინტერიერის მოწყობასთან ერთად, ეზოს გალავნის გამაგრებასაც ითვალისწინებს. ინფრასტრუქტურულად მოეწყობა სახლ-მუზეუმის ეზოც. სარეაბილიტაციო პროცესის მოსამზადებელ ეტაპს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს, რაც სამშენებლო მოედნის მოწყობასა და სამუზეუმო ექსპონატების დაცულ სივრცეში გადატანაში გამოიხატება. სარეაბილიტაციო პროექტი სახლ-მუზეუმის თანამედროვე მუზეუმოგრაფიასაც მოიცავს, რაც სამომავლოდ კულტურულ სივრცეს მეტ შინაარსობრივ დატვირთვას შესძენს. საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას სააგენტო 2019 წლის გაზაფხულისთვის დაასრულებს. მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით კი სარეაბილიტაციო პროცესი ზაფხულში დაიწყება და 2020 წლის ბოლომდე გასტანს.

ლესია უკრაინკას მემორიალური მუზეუმი ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, სურამელი აზნაურის, ცნობილი ეთნოგრაფის ნიკოლოზ აბაზაძის XIX საუკუნის სახლშია გახსნილი. მუზეუმის ფონდებში დაცულია ლესია უკრაინკას ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული მასალები: პოეტის კრებულები, ხელნაწერები, სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ნუმიზმატიკური, ფოტო და ეთნოგრაფიული მასალა. მუზეუმის გახსნის ინიციატორი მწერალი გიორგი ლეონიძე იყო.



ზოგი ჭირვეულად მიბაჯბაჯებს, დედის შეძახილზე, რომ აჩქარდეს, ცელქი ბეკეკასავით შეკუნტრუშდება და ფეხს აუნქარებს, მაგრამ სულ ოდნავ.. ზოგს ისე მჭიდროდ აქვს შემოჭდილი პაწაწინა, ხელთათმანიანი ხელები დედის ყელზე, კაცი რომ ვერ შემოხსნის. მშობლის ხელებში კომფორტულად მოკალათებული, მედიდურად იყურება, „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“.. მხოლოდ თვალეები და ცხვირი უჩანთ. ცხვირები ისე გაწითლებიან, გეგონება განგებ წაუსვებს წითელი საღებავი.. დედების და შვილების გზები ოთახების კარებთან „იყრება“. ნაწილი აღსაზრდელებისა გემრიელ ტირილს დასცხებს, მაგრამ ეს ხომ უკვე ბუნების კანონივითაა, ბაღში მისვლის დროს ცოტა თუ არ წაუტირე, „რაა მამული?“ ნაწილი კი უხმოდ და დინჯად მიდის თავისი კუთვნილი ადგილისკენ, დაჯდება და ძარღვიც არ უტოკ-

- ერთი დღე საბავშვო ბაღში -
აქ პატარები სიხარულით მოდიან



დება ქორფა შუბლზედ. სწორედ ასეთი სურათი იშლება ხაშურის №6 საბავშვო ბაღში, ზამთრის სისხამ დილით. სანამ ბაღში განვითარებული მოვლენების თხრობას განვაგრძობდეთ, მანამდე, ჩვენი ბაღში ვიზიტის მიზეზს მოგახსენებთ.

„ხაშურის მოამბე“-მ გადაწყვიტა ახალი რუბრიკა შესთავაზოს მკითხველს „ერთი დღე საბავშვო ბაღში“, წლის განმავლობაში, პერიოდულად, ყველა ბაღს ვესტუმრებით და არსებულ მდგომარეობას ვაგაცნობთ. ჩვენი განსაკუთრებული ინტერესი, აღნიშნული თემის ირგვლივ, შემდეგში მდგომარეობს. მას შემდეგ, რაც ხაშურში ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების – საბავშვო ბაღების გაერთიანებამ დაიწყო ფუნქციონირება, რაიონში უამრავი ბავშვი აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა. სამომავლოდ, გვემაშია, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები უკლებლივ ყველა მათგანს შეეხოს.

ხაშურის №6 საბავშვო ბაღიც რეაბილიტირებულთა სიაში ირიცხება. 2017 წლის შემოდგომაზე ბაღი საზეიმოდ გაიხსნა. პროექტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა, რომლის ღირებულებამაც 759875 ლარი შეადგინა. აღნიშნული საბავშვო ბაღი გასული წლის 70-იან წლებში აშენდა. განსაკუთრებით ბოლო წლებში, საკმაოდ ავარიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და დროულ ჩარევას ითხოვდა. ბაღი, რა თქმა უნდა, თანამედროვე სტანდარტების დაცვით აშენდა და დღესდღეობით ხაშურში ერთ-ერთ ყველაზე დიდ უბანს ემსახურება.

საადამირდლო დაწესებულებაში მისულებს, მასპინძლობა ბაღის ღვაწლმოსილმა და ენერგიულმა მენეჯერმა აზა მადლაკელიძემ გაგვიწია. შენობაში შესულებს, ნამდვილად, სასიამოვნო გარემო დაგვხვდა. ქალბატონი აზა ბაღის თითოეულ კუთხე-კუნჭულს დიდი ენთუზიაზმით გვაცნობდა და გვათვალისწინებდა. გარდა იმისა, რომ თანამედროვე სტანდარტების რემონტი შეგნოდა საბავშვო ბაღს, თანამშრომლების კრეატიული ხედვაც არ გამორჩებოდა დაკვირვებულ თვალს. ბაღი უღამაზესი ხელნაკეთი ნივთებით გახლავთ გაწყობილი. სუფთა და მოწესრიგებული



გარემო დაგვხვდა ბაღის ნებისმიერ ოთახში, სველ წერტილებში, სამზარეულოში, ჯგუფებში, საძინებელ ოთახებში, საწყობში, დარბაზებში უზადო წესრიგი იყო.

გავსაუბრეთ ბაღის მენეჯერს აზა მადლაკელიძეს. რომელსაც მართვის მრავალწლიანი გამოცდილება დაუგროვდა და დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად და უდიდესი პასუხისმგებლობით უძღვება. მიმოვიხილეთ ბაღის ახლანდელი მდგომარეობა. ამჟამად, ბაღში 25 თანამშრომელი მუშაობს, მათ შორის, ბავშვთა ფსიქოლოგი და ექიმი. როგორც ჩვენთან საუბარში ბაღების გაერთიანების დირექტორმა დავით ნოზაძემ აღნიშნა, ბაღის თანამშრომლებს სისტემატიურად უტარდებათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები. ეს ბაღის მენეჯერმაც დაგვიდასტურა. გთავაზობთ მცირე ინტერვიუს.

- ქალბატონო აზა, არსებობის რამდენ წელს ითვლის ხაშურის #6 საბავშვო ბაღი?

- ეს სადამზრდლო დაწესებულება, 55 წლის ვახლავთ. წლების განმავლობაში, უამრავი თაობა აღზრდილა ამ ბაღის კედლებში. დღესდღეობით კი მოხარული ვართ, რომ ასეთ სასიამოვნო გარემოში გვიწევს მუშაობა.

- რამდენი აღსაზრდელი ჰყავს, ამჟამად, საბავშვო ბაღს?

- საბავშვო ბაღში სულ 5 ჯგუფია და 170 აღსაზრდელი. ბაღის საფუძვლიანი რეაბილიტაციის შემდეგ, ჩვენს სადამზრდლო დაწესებულებაში ბავშვის მოყვანის მსურველთა რიცხვმა საკმაოდ მოიმატა.

- ქალბატონო აზა, უკვე მრავალი წელია ამ პოზიციაზე მუშაობთ, ცვლილებებიც, ცხადია, იქნება გასულ წლებთან შედარებით..

- დიახ, რა თქმა უნდა. ცვლილებები უკლებლივ ყველაფერს შეეხოს, უპირველეს ყოვლისა, საბავშვო ბაღის შენობას. შემდომ, მკვეთრად შეიცვალა ბავშვების მდგომარეობა კვების, სამეცადინო საშუალებების, სათამაშოების და ინვენტარის მხრივ.

- გვიამბეთ ბაღში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ.

- ბაღს საფუძვლიანი სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა, თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით. ძველი შენობა, რაც წლების განმავლობაში არსებობდა, საკმაოდ ავარიული ვახლდათ და სწავლის გაგრძელება უკვე სახიფათო იყო. პირველად, ჩვენი ბაღის სავალალო მდგომარეობა, ხაშურის მუნიციპალიტეტის



მერმა ნახა, რომელმაც დახმარება აღქვეითქვა აღნიშნულ საქმეში. აქტიური სამუშაოების პერიოდშიც ხშირად გვსტუმრობდა და უშუალოდ ათვალისწინებდა მიმდინარე სამუშაოებს. როგორც მოგვხსენებთ, ძველ შენობას მთლიანად დემონტაჟი გაუკეთდა და მის მაგივრად ახალი აშენდა, რომელშიც თქვენ ახლა იმყოფებით.

დღესდღეობით, საბავშვო ბაღში, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდა-განათლებისთვის საჭირო ყველა პირობაა გათვალისწინებული. რემონტის დასრულების შემდეგ, ეტაპობრივად იქნა შემოტანილი ყველა საჭირო ინვენტარი. „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანებამ“ და მისმა დირექტორმა დავით ნოზაძემ მოგვამარაგა საძინებლისთვის განკუთვნილი ტექსტილით და საბავშვო თეთრეულით, ავეჯით, ელექტრო ტექნიკით, ჭურჭლით, სათამაშოებით და ა.შ.

ქალბატონმა აზამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა ბაღების გაერთიანების დირექტორის, დავით ნოზაძის უდიდესი წვლილი აღნიშნულ საქმეში: „მისი საუკეთესო მენეჯერული თვისებებიდან გამომდინარე, საბავშვო ბაღებში იდეალური სიტუაციაა შექმნილი. მისი მუშაობის პერიოდში, უამრავ ბაღს ჩაუტარდა რეაბილიტაცია და ზოგიც ხელახლა აშენდა. სწორედ ამის გამოა, რომ ეს ა(ა)იპ-ი ერთ-ერთ წარმატებულ ორგანიზაციად უნდა ჩაითვალოს ჩვენს მუნიციპალიტეტში“.

ჩვენმა ერთმა დღემ სასიამოვნოდ და საინტერესოდ ჩაიარა. წინ კი 14 საბავშვო ბაღი დაგვრჩა მოსანახულებელი. ჩვენ ისდა დაგვრჩენია, წარსულ დროებზე დარდი, ამ პატარების შემხედვარემ, განვიქარვით. რამდენჯერ უნატრია უამრავ ჩვენგანს ისევ ბაღის აღსაზრდელი ყოფილიყო, თუმცა ეს სიტკბოება ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ მიდის და უკან აღარ ბრუნდება.

თინათინ ახალკაცი

რედაქციისგან: დღეს ვიწუებთ ისტორიკოსისა და მეცნიერის თამაზ ლაცაბიძის მნიშვნელოვანი ნაშრომის - „ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში“ - ბეჭდვას. ნაშრომი მართლაც საინტერესოა და იგი არა მარტო სპეციალისტებს, არამედ მკითხველთა ფართო წრესაც დაინტერესებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტი ისტორიული შიდა ქართლისა და გვიანდელი ზემო ქართლის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. იგი მოიცავს ისტორიული საციციანოს მნიშვნელოვან ნაწილს, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, სოფელ წრომიდან დამხეულამდე, აქვე, მდ. ძამის ხეობის ერთ ნაწილს. მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადების - მდინარეების - ალისა და სურამის წყლის ხეობებს მოლიანად, ფცის წყლის ხეობის ნაწილს (წადვლი-ტოცა-ფლევი), ქართლის სააბაშიოს (მდ. შოლის აუზი) და ბორჯომის ხეობის მცირე მონაკვეთს-სარმანიშვილის კარის წყლის ხეობას.

ხაშურის მუნიციპალიტეტი შიდა ქართლის ვაკეზე იშლება და სამი მხრიდან საშუალო სიმაღლის (900-1000 მ-მდე) მთები აკრავს. ჩრდილოეთიდან - კავკასიონის სამხრეთ ფერდობების განშტოება, დასავლეთიდან - ლიხის ანუ სურამის ქედის აღმოსავლეთი მთისწინეთი, ხოლო სამხრეთიდან - თრიალეთის ანუ მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის ჩრდილოეთის ფერდობი, აღმოსავლეთით კი ვრცელდება დოღლაურის ველამდე, დაბა აგარამდე.

მას ესაზღვრება: აღმოსავლეთით ქარელის, ჩრდილოეთით ყორნის, დასავლეთით - საჩხერისა და ხარაგაულის, ხოლო სამხრეთითა და, ნაწილობრივ, დასავლეთით - ბორჯომის მუნიციპალიტეტები.

1917 წლამდე ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში, 1921 წლის საქართველოს ადმინისტრაციულ - ტერიტორიული დაყოფით იგი ისევ გორის მაზრაშია, ხოლო 1930 წლიდან დამოუკიდებელი რაიონია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ფართობი 582,2 კვ. კილომეტრია, რაც საქართველოს ფართობის 0,84 პროცენტს შეადგენს. იგი ვრცელდება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 37 კილომეტრზე, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ - 22 კილომეტრზე. მისი საზღვრის საერთო სიგრძე 118 კილომეტრია.

რაიონის მოსახლეობა ბოლო 2002 წლის აღწერით 63,593 კაცია. აქედან ხაშურში ცხოვრობდა 29 073, დაბა სურამში 9863, სოფლად კი 24657 კაცი. რაიონის მოსახლეობა ძირითადად ქართულია (96, 74%), სხვა ეროვნებები ასე გამოიყურებიან : რუსი - 0,51%, უკრაინელი - 0,07%, აზერბაიჯანელი - 0,03%, სომეხი - 1,2%, ოსი - 1,19%, აფხაზი - 0,03%, ბერძენი - 0,07%, სხვა 0,16%.

ხაშურის მუნიციპალიტეტი ისტორიულ გზასაყარზე მდებარეობს. აქედან ადვილად შეიძლება დაკავშირება საქართველოს ნებისმიერ რეგიონთან. აქ გადის აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზები. ეს გზები ყოველთვის ინტენსიურად გამოიყენებოდა შორეულ და ახლო წარსულში. აქვე შევნიშნავთ, კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში გზის რომელ მიმართულებას ჰქონდა უფრო ინტენსიური გამოყენება, ეს ამ ეპოქის ხასიათიდან გამომდინარეობდა. ეს დასტურდება სხვადასხვა მონაცემებით, არქეოლოგიური მასალითა თუ წერილობითი წყაროებით.

სამომოსვლო გზები დასავლეთ საქართველოში ლიხის მთაზე (სურამის ქედი), ხოლო სამხრეთ საქართველოსკენ კი თრიალეთის ქედზე და ბორჯომის ხეობაზე გადიოდა. ხაშურის რაიონიდან, როგორც დასავლეთისკენ, ასევე სამხრეთისკენ მიმავალი რამდენიმე გზაა დაფიქსირებული. ალის ხეობით ამერეთიდან იმერეთში გადასვლა შეიძლებოდა ჯვარ-კორტოხისა და უღუმბა-დედაბერაზე გამავალი გზებით. სურამის ხეობიდანაც ორი გზა მიემართებოდა: ფონაზე და რიკოთზე. მდინარე შოლის აუზიდან (ქვიშხეთი) გადასვლა ციხისძირის (ბულბულისციხე) გზით ხდებოდა. რაც შეეხება სამხრეთ საქართველოსკენ მიმავალ გზებს, ერთი ტაშისკრით ბორჯომის ხეობაზე გადიოდა, ხოლო მეორე მდინარე ძამის ხეობას მიუყვებოდა. ყველა გადასასვლელი გზა გასდევს მდინარეებსა და მათ ხეობებს.

ამ სამომოსვლო გზებს იცავდა (პეტეფდა) კარგად გამაგრებული ციხე-სიმაგრეები. ასეთი ციხე-სიმაგრეები არის ალში, სურამში, ბულბულისციხეში, ორთუბანში, ძამასა, ალეწში და სხვაგან.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის, ლიხის მთაზე გამავალი გზებით, რომ ხდებოდა მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები დასტურდება ისტორიულ წყაროებში. უფრო შორეულ წარსულშიც ამ გზებით ხდებოდა აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული კულტურების ურთიერთობა. ეს უკვე კარგად ჩანს ბრინჯაოს ხანიდან, უფრო ინტენსიურია ეს ურთიერთობა ანტიკურ ხანაში. შემთხვევით თუ არქეოლოგიური გათხრების (წადვლი, ნაცარგორა, მცხეთიჯვარი) შედეგად მოპოვებული მასალა ადასტურებს ამ ფაქტს.

მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების ძირითადი ნაწილი გზების გასწვრივ და მის სიახლოვეს მდებარეობს. ძირითადად სწორედ ამ ფაქტორმა განსაზღვრა მათი აღმოცენებაც და შემდგომი განვითარებაც.

მუნიციპალიტეტის ასეთმა მდებარეობამ განაპირობა ის, რომ აქ ყოველთვის, ყველა ისტორიულ ხანასა თუ ეპოქაში კარგად ჩანს საზოგადოების შემოქმედებისა და საქმიანობის ინტენსიური კვალი. არა მარტო არქეოლოგიური, არამედ ხშირ შემთხვევაში ტოპონიმოკური მონაცემებითაც დგინდება საზოგადოების განვითარების უწყვეტობა. ეს კარგად ჩანს მუნიციპალიტეტის არა მარტო მაკრო, არამედ მიკრო ტოპონიმიაშიც.

საზოგადოება ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა და იჩენს


გეოგრაფიულ სახელწოდებათა მიმართ, მას აინტერესებს ამა თუ იმ გეოგრაფიული სახელწოდების წარმომავლობა, მისი ისტორია და მნიშვნელობის ახსნა-განმარტება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან საზოგადოებას სწორედ გეოგრაფიულ გარემოში უხდება ცხოვრება და მოღვაწეობა. მისი შემოქმედებისა და საქმიანობის შედეგია ის გეოგრაფიული სახელწოდებებიც - ტოპონიმები, ასე მრავლად რომ არის გაბნეული ჩვენს ირგვლივ. მთას, ველს, ტყეს, მინდორს, წყაროს, სოფელს, დაბას, ქალაქს ერთმანეთისაგან გასარჩევად და საორიენტაციოდ ადამიანებმა დაარქვეს სახელები. არაერთი გეოგრაფიული სახელწოდება საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარეობს და მეტად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. ტოპონიმები ჩვენი წარსულის უტყუარი ფურცლებია და მას ხშირ შემთხვევაში ისტორიული წყაროს მნიშვნელობაც ენიჭება.

1980 წელს, შესაძლებლობა მომეცა პროფ. ალ. ღლონტთან ერთად მომეველო ხაშურის რაიონის ზოგიერთი რეგიონი (ალი, უღუმბა, სურამი, ხაშური და სხვ.). მაშინ, ჩვენ მიერ გაკეთდა პირველი ჩანაწერები.

ხოლო შემდეგ, 1984 წლიდან სისტემატურად ვახდენდით ხაშურის რაიონის ტოპონიმების შეკრება-შეგროვებას. ამ მიზნით, მოვიარეთ მთელი რაიონი და ადგილზე ჩავიწერეთ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდება. აღვწუსეთ ყველა სოფლისა და ნასოფლარის (მაკროტოპონიმები), მათი უმცირესი გეოგრაფიული ობიექტების (საძოვრები, მდინარეები, ხევები, დედეები, წყაროები, ახლები, ტყეები, მინდვრები და ა. შ.) სახელწოდებები (მიკროტოპონიმები).

ადგილზე ჩაწერილი ტოპონიმოკური მასალა შევავსეთ ისტორიული წყაროებიდან („ქართლის ცხოვრება“ და სხვა), აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული ხელნაწერებიდან და დოკუმენტებიდან, აგრეთვე ხაშურის რაიარქივში დაცული გასული საუკუნის 20-50-იანი წლების მასალებიდან ამოკრეფილი ტოპონიმებით. ყველაფერმა ამან უფრო სრულყოფილი გახადა ჩვენ მიერ მომზადებული ხაშურის რაიონის ტოპონიმოკური ლექსიკონი, რომელშიც 5000-მდე გეოგრაფიული სახელწოდებაა შესული და რომლის გამოცემასაც ახლო მომავალში ვაპირებთ.

დაინტერესება ხაშურის რაიონის ტოპონიმით უმთავრესად გან-



ხაშურის მუნიციპალიტეტი ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით (XVIII საუკუნის 40-იანი წლები)

პირობებულა ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით, მისი ლინგვისტური კვლევა ჩვენს ინტერესებში არ შედის. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს ამა თუ იმ ტოპონიმის ისტორიული სიღრმე, მასთან დაკავშირებული მოვლენები, თქმულებები და ლეგენდები, ხალხური ეტიმოლოგია.

(გაგრძელება IV გვერდზე)

(გაგრძელება)

წინამდებარე ნაშრომი ხაშურის რაიონის მხოლოდ სოფლებისა და ნასოფლარების (ე.წ. ოიკონიუმების) შესწავლის ცდას წარმოადგენს, სწორედ ისტორიული გეოგრაფიის მონაცემების გათვალისწინებით. აქვე შევნიშნავთ, რომ რაიონის ტოპონიმიკური ლექსიკონიც ასეთივე პრინციპით არის შედგენილი.

უძველესი ცნობები ხაშურის რაიონის ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ გვხვდება ისტორიულ წყაროებში, ხელნაწერებსა თუ დოკუმენტებში. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს ისტორიის უპირველესი წყარო - „ქართლის ცხოვრება“. მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ვახუშტი ბატონიშვილმა XVIII საუკუნის 40-იანი წლებისათვის დღევანდელი ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე დააფიქსირა და რუკაზე დაიტანა 61 დასახლებული პუნქტი, რომლებიც აღწერილია მდინარეთა ხეობების მიხედვით. ხაშურის ტერიტორიაზე მომხდარი ზოგიერთი ისტორიული ფაქტისა თუ მოვლენის აღნიშვნისას „აღწერაში“ ვხვდებით აგრეთვე სხვა ტოპონიმებსაც. ვახუშტის სახელთან არის დაკავშირებული მუნიციპალიტეტის ტოპონიმების პირველი აღწერის ცდა, გვაძლევს ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიზაციასაც (მაგ. ტაშისკარი).

თითქმის ამდენივე და იგივე დასახლებული პუნქტი აქვს აღწერული იოანე ბატონიშვილს XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასასრულისათვის. იოანე ბატონიშვილსაც, სოფლები, ვახუშტის მსგავსად, მდინარეთა ხეობების მიხედვით აქვს აღწერილი.

უამრავი ტოპონიმია გაბნეული აგრეთვე ისტორიულ დოკუმენტებსა და ხელნაწერებში.

საინტერესო მონაცემებია დაცული მოსახლეობის XVII-XVIII საუკუნეების აღწერის დავთრებში. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარი, რომელშიც დაფიქსირებულია მდინარე მტკვრის მარცხენა მხრის შენაკადების, მდინარეების ე. წ. ფრონეების ხეობების (ხაშურისა და ქარელის რაიონები) თითქმის ყველა სოფელი. ხაშურის რაიონიდან დავთარში შეტანილია 40 სოფელი (ზოგიერთის გამოკლებით), რომლებიც რუისის სამწყსოში შედიოდნენ. ეს სოფლებია: ტკოცა, დუმაცხო (დუმაცხოვი), ფლევი, ალი, ქინძათი, ნაბახტევი, ბრილი, წაბლოვანა (წაბლოვანა), ქემფერი, ცეღანი, ოძისი, უთხვა (ურთხვა), ბიჯნისი, ჩუმათელეთი, ზინდისი, იტრია, სურამი, ზე სურამი (გვერდისუბანი), ტეზერი, მეორე სახუცო ტეზერი (სავანისუბანი), მესამე სახუცო ტეზერი (ყიფინათუბანი?, რუსაანთუბანი?), ბეღლითი, მონასტერი, ციხისძირი (ბუღბუღისციხე), შოლისძირი, ქვიშხეთი, ტაშისკარი, გორათი, შინდარა, ხაშური, ოსიაური, ზემო ჭალა, კლდისწყარო(?), ლუბრმა (ლუბრუმა), ახალსოფელი, სატივე, ძვისი (აძვისი) და ვაყა.

ასევე საინტერესო მონაცემებს ვხვდებით უცხოელი ავტორების (ჟან შარდენი, გიულდენშტედტი და სხვა) შრომებში, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო რეგიონს აღწერენ.

ამჯერად, განსაკუთრებული ყურადღება გვინდა, გავამახვილოთ მოსახლეობის თურქულენოვან აღწერებზე. როგორც ცნობილია, 1723 წლიდან 1735 წლამდე ქართლში ოსმალები არიან. ეს არის ე.წ. „ოსმალობის“ პერიოდი ქართლის ისტორიაში. მათ 1728 წელს აღწერეს ქართლის მოსახლეობა. აღწერის შედეგები შესულია „თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“.

ხაშურის რაიონი, დავთრის მიხედვით, შედის გორის ლივაში. კერძოდ, საციციანოსა და საამილახვროს ნაპიებში. რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთრისგან განსხვავებით, როგორც ვხედავთ, მასში მტკვრის ორივე მხარის სოფლებია აღწერილი. ამავე დროს, ეს აღწერები უფრო სრულყოფილია, თუმცა მასშიც არ არის ზოგიერთი დასახლებული პუნქტი შეტანილი. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ დავთარში მოსახლეობა ოსმალური წესით არის აღწერილი - სახელითა და მამის სახელით. მიუხედავად ამისა, შეიძლება გარკვეული პარალელების გაკლება თუ მსგავსების დანახვა რუისის საწყსოს დავთრის მონაცემებთან.

საციციანოს ნაპიეში ხაშურის მუნიციპალიტეტიდან შემდეგი სოფლებია აღწერილი: კილეთი (ყელეთი), ბოსლეთი, ზემოვეთი (წვიმეთი), თრუმი (წრომი), ქირზისხევი (კრისხევი), შუღიშკური (მშველსყური, შველსყური), კალიბი (ხალები), სულ 8 სოფელი. არის კიდევ ზოგიერთი სოფელი (მირვეთი, კათისირი, ავჯა), რომელთა იდენტიფიკაცია ვერ შევძელით.

რაც შეეხება საამილახვროს ნაპიეს, მასში აღწერილია: ქვიშხეთი, ტეზერი, სათესველი ჩალა (ჭალა?), სურამი, ბეკამი, გვერდისუბანი, გორათი, ხაშური, ოსიაური, ახალსოფელი, სათივე (სატივე), ლუბრმა (ლუბრუმა), ქემფერი (ქემფერი), ოძისი, უთხვა (ურთხვა) წაბლოვანი (წაბლოვანა), იტრია, ჩუმათელეთი, ცეღანი, ბიჯნისი, ბრილი, ფონა, ვაყა, სომანეთი, ალი, ნაბახტევი (ნაბახტევი), სათესველი ნაბახტევი, დუმაცხოვი, ქინძათი, უწლევი, წალვლი, ფლევი, ტკოცა, ულუნბა (ულუმბა), სულ 35 სოფელი.

1728 წლის აღწერა მრავალმხრივ იპყრობს ყურადღებას. იგი არა მარტო ონომასტიკის თვალსაზრისით არის საინტერესო, არამედ მნიშვნელოვანია მხარის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, აქ განვითარებული მეურნეობის ცალკეული დარგების, იმ გადასახადების შესწავლის თვალსაზრისით, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა იხდიდა.

აღწერის მიხედვით, 1728 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 2237 კომლი, დახლოებით 11185 სული. მას დაკისრებული ჰქონდა ოსმალური გადასახადი 685741 ახჩის ოდენობით.

ეს მასალები საშუალებას გვაძლევს, თვალის გაკვანთვით თითოეული ტოპონიმის სახელწოდებათა ცვალებადობას. მაგალითად, ზოგიერთი დღევანდელი სახელწოდება ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებში ასე გვხვდება:

- აძვისი - ძვისი
- დამხეულა - დამხერალო
- დუმაცხოვი - დუმაცხო
- თავკეთი - თავუეთი, თავოეთი
- თერგვისი - დერგვისი
- თხილნარა - თხილოვანი
- იტრია - ნიტრია
- კრისხევი - კრისისხევი, ყრისისხევი
- ლუბრუმა - ლუბრმა
- ოსიაური - ოსეური
- რბონა - ბრბონა
- ტკოცა - სტკოცა
- შლეყური - მშველსყური, შველსყური
- ჯაფინაური - ჯაფინაური და ა. შ.
- ზოგიც სულ სხვა სახელწოდებით არის ცნობილი დღეს, ისე, რომ არავითარი საერთო არ აქვს ძველ სახელწოდებასთან. მაგალითად: ბუღბუღისციხე - ციხისძირი
- გვერდისუბანი - ზე სურამი
- ჩუმათელეთი - ძელძინა და სხვა.
- მუნიციპალიტეტის ზოგიერთი მაკროტოპონიმის (აზარმა, ბრილი, ჩორჩანა...) მსგავსი ან მიმსგავსებული ტოპონიმი დასტურდება სამხრეთ საქართველოში (ჩორჩანელი, ჩორჩევანი, ნიკორა, ბრილი...).

აქ ოსმალთა გაბატონების შემდეგ (XVII ს-ის I მეოთხედი), მოსახლეობის დიდი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოსა (ქართლი) და დასავლეთ საქართველოში (გურია, სამეგრელო, იმერეთი) გადადის. ამ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ქართლში იმერეთიდანაც ხვდება. ამის დასტურია აქ გავრცელებული გვარ-სახელებიც (მუსხელიშვილი, დიდებულები, მურვანიშვილი...). სამხრეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი მაკროტოპონიმების მუნიციპალიტეტში არსებობა ხომ არ უნდა იყოს დაკავშირებული მოსახლეობის ამ შიდა მიგრაციასთან?

ამავე პერიოდიდან (XVII ს-ის დასაწყისი), როცა ისტორიული ზემო ქართლი (შემდგომი სამცხე-საათაბაგო) დიდი ხნის მანძილზე ჩამოშორდა ქართლის სამეფოს, თანდათან ხდება ისტორიული შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ზემო ქართლის სახელწოდებით დამკვიდრება. გვიანდელი ზემო ქართლი XVIII ს-ში შეადგენდა მეორე სასპასპეტოს, რომლის ცენტრიც გორი იყო. ზემო ქართლის სამხრეთის საზღვარი მდ. მტკვარზე გადის და მასში შედის ცხინვალის რეგიონი, კასპის, გორის, ქარელის, ყორნისის, ხაშურის მუნიციპალიტეტები მთლიანად, ხარაგაულის და ბორჯომის მუნიციპალიტეტის ნაწილი.

ვახუშტი შემდეგ საზღვრებში ათავსებდა გვიანდელ ზემო ქართლს: „...შიდა ქართლის ნაკუეთსა, რომელი არს აწის ზემო-ქართლი... ხოლო საზღვარი ამისი არს: აღმოსავლეთით... ხაზი კასპიდან წარსრული ჩრდილოს, გამჭრელი წლევისა, შაგტყისა და მისრული კსნის კიდემდე და ბოლადმდე; სამხრით მდინარე მტკვარი; ჩრდილოთ... კსნის მამულის საზღვარი, და მერმე კავკასი; დასავლით ძირულას იქითი მთა კოლბეურისა, მცირე, რომელი მიჰყვება ჩრდილოთ კერძ პერანგამდე, მუნიდამ ერწო-კუდარამდე და ესეც მთა კოლბეურისა, ხეფინის ხევისა და ამაშუკეთს შუა, მიჰყვების სამხრით ვერტყვილამდე; ვერტყვილიდან ხაზი ჩხერიმელის დაბის ქუამამდე, და მუნიდამ მახვილოს მთას განმჭრელი დვირამდე და ბაკულიანის მთამდე“.

აღ. ამილახვარიც ამ საზღვრებში განიხილავს ზემო ქართლს, ამასთან მიუთითებს იმ გვარებზე, რომლებიც ფლობენ ამ მხარეს. აგრეთვე ჩამოთვლის ზემო ქართლის მთავარ ქალაქებს. „ზემო ქართლი, - აღნიშნავს იგი, - შეადგენს სამფლობელოს ამილახვრებისა და სხვა თავადთა გვარებისა, სახელდობრ: 1. აბაშიძეებისა, 2. ფალავანდიშვილებისა, 3. ხერხეულიძეებისა, 4. დავითიშვილებისა, 5. ამირეჯიბებისა, 6. ავალიშვილებისა, 7. ხიდირბეგიშვილებისა, 8. მხეიძეებისა (ჩხეიძეები? - თ.დ.), 9. დიასამიძეებისა, 10. სიამარდიშვილებისა, 11. თაქთაქიშვილებისა, 12. შალიკაშვილებისა, 13. მაჩაბლებისა; აქვეა უფლისწულის საბატონო, რომელიც ამილახვრების სარდლობის ქვეშ უნდა იყოს ომების დროს. ამავე პროვინციაში მთავარი ქალაქებია: გორი, ცხინვალი, სურამი და ალი“.

უნდა შევნიშნოთ, რომ აღ. ამილახვარი თითქმის ზედმიწევნით იმეორებს თეიმურაზ I-ის სასარდლო წიგნს (XVII ს-ის 10-20-იანი წლები), რომელიც წარმოადგენს ამილახვრის სადროშოში შემავალი თავადების ნუსხას.

დღესაც ამ საზღვრებში განიხილება ზემო ქართლი, ბორჯომისა და ხარაგაულის რაიონების გამოკლებით.

1865 წლის 11 აპრილის თბილისის გუბერნიის სასოფლო საზოგადოებების აღწერის მიხედვით რაიონის ტერიტორიაზე 11 სასოფლო საზოგადოებაა დაფიქსირებული 45 დასახლებული პუნქტით. კერძოდ, ეს სასოფლო საზოგადოებებია: ზემო წრომის (ზემო წრომი, ქვემო წრომი, ახალშენი), ხცისის (ხცისი, წვიმეთი, მიწობი, კრისხევი, შველსყური), წაღვლის (წაღვლი, ტკოცა), ვაყის (ვაყა, აძვისი, ზემო გომი, სატივე), ნაბახტევის (ნაბახტევი, დუმაცხოვი, კლდისწყარო, ახალუბანი, ზემო ფლევი, ქინძათი, ახალი ფლევი, ბრილი, წაბლოვანა), ალის (ალი), ოსიაურის (ოსიაური, ლუბრუმა, ახალსოფელი), ჭალის (ჭალა, ხაშური, ცხრაბუხა), ტეზრის (ტეზერი, სავანლის ტეზერი, ყიფინათუბანი, ბეკამი), ქვიშხეთის (ქვიშხეთი, ბეღლითი, მონასტერი), სურამის (სურამი) და იტრიის (იტრია, ჩუმათელეთი, ზინდისი, ურთხვა, ბიჯნისი, კაკალათხევი, ქემფერი).

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

- სკოლა -

ახალი რეფორმა - მივადით სასურველ შედეგამდე?

წელს, გამოსაშვები გამოცდები 11 კლასელებისთვის მოიხსნა. ამის შესახებ, განცხადება, ცოტა ხნის წინ, გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა გააკეთა. რაც შეეხება მე 12 კლასელებს, მათ ეს სიახლე 2020 წლიდან შეეხებათ. როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, აღნიშნული ცვლილება განათლების სისტემაში სკოლის როლის გაძლიერებას ემსახურება. ახალი



მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით, საზოგადოების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ცვლილებებია მისაღები გამოცდების კუთხითაც. 2020 წელს ყველა აბიტურიენტისთვის მისაღები გამოცდები ჩატარდება სამ სავალდებულო საგანში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უცხო ენაში, ხოლო მესამე საგანს განსაზღვრავს უნივერსიტეტი სასწავლებლის პროგრამის მიხედვით. ახალი მოდელის პრინციპები ორიენტირებულია ხარისხზე და ემსახურება სკოლის როლის გაძლიერებას, ორიენტაციას შედეგზე და არა გამოცდაზე. უნივერსიტეტის ავტონომიის ეტაპობრივ გაზრდასა და მშობლებისთვის ნაკლებ დანახარჯის გაღებაზე. როგორ ხედავს და აფასებს აღნიშნულ ცვლილებებს, რა შედეგი შეიძლება მოიტანოს და რას მოგვცემს სამომავლოდ აღნიშნული რეფორმა, ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს ზვიად გოგუაძეს ვესაუბრეთ:

- ბატონო ზვიად, თქვენი შეფასება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი მკითხველისთვის. რა იყო აქამდე არსებული გამოცდების მიზანი და როგორ ფიქრობთ, საჭირო იყო თუ არა, ახალი ცვლილებების შემოტანა?

- აქამდე არსებულმა საატესტატო გამოცდამ მოგვცა ის, რომ ჩვენ საშუალება გვქონდა გაგვეზომა მოსწავლეთა ცოდნის დონე ტესტებით, რაც რეალურად სკოლის საქმე უნდა ყოფილიყო. სკოლის წარმატების გაზომვა მარტივი ტესტების საშუალებით, არაფერს გვაძლევდა. რეალურად, ეს არ იყო სწორი. ამან მოგვცა ის, რომ გავაძლიერეთ რეპეტიტორების ინსტიტუტი. მოსწავლის

მიერ ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში მიღებული ცოდნით უნდა ხდებოდეს მოსწავლე უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში. ჩვენ მივიღეთ ის, რომ, მოსწავლემ დაიწყო ოთხ საგანში მომზადება, აცდა იმ მიმართულებას, რომ სკოლის ცოდნის დონის რეალური შეფასება მიგველო, შესუსტდა მასწავლებლის ფუნქციებიც. შეფასების ინსტრუმენტი წავართვით მასწავლებელს. თუ მეცხრე კლასიდან მოსწავლეებმა 12-ე კლასამდე გადალახეს ეტაპები და ჩაიჭრება ტესტირების დროს, გამოდის, რომ ასეთ მოსწავლეებს სკოლამ ცუდი სამსახური გაუწია, ნაცვლად იმისა, რომ გაეზარდა მისი მოტივაცია და ცოდნის დონე, წყაღში ჩაყარა მისი მონდომება. თუმცა, დადებითი მხარეც ნამდვილად ჰქონდა საატესტატო გამოცდებს. მოსწავლეებს აძლევდა მოტივაციას. ეს ბავშვები მხოლოდ იმის გამო, რომ ტესტი დაედით, რეალურად იღებდნენ ფორმალურ განათლებას- დადიოდნენ სხვადასხვა მასწავლებლებთან-ცალკე საატესტატო გამოცდებისთვის, ცალკე - ეროვნული გამოცდებისთვის.

ვინაიდან იღვაში გამოცდა კარგი იყო, ახლა აღმოჩნდა, რომ არც ისე კარგად იმუშავა, აუცილებლად უნდა შეიცვალოს მიდგომა. რთულია, რომელიმე ქვეყნის მოდელი აიღო და ის ორგანულად მოერგოს შენ ქვეყანას, ამიტომაც, რომ სულ ძიების და განახლების ეტაპზე ვართ.


- არსებობს სკეპტიკოსთა დიდი არმია, ვისაც სხვადასხვა არგუმენტები აქვს, თუ რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოიტანოს ამ ცვლილებამ სამომავლოდ...

- ადამიანთა ნაწილი თვლის, რომ მოსწავლეები გამოცდების მოხსნის შემდეგ, სკოლაში არ ივლიან, აღარ ისწავლიან. ასე არაა, რადგან მე-11 კლასელიც მიდიოდა სკოლიდან იმის გამო, რომ რეპეტიტორთან ჰქონდა მეცადინეობა დანიშნული. ეს არის რეფორმის ტალღის ნაწილი, განათლების სამინისტროს გრძელვადიანი გეგმა არის ის, რომ დაგვეწყო საგანმანათლებლო სისტემა. განათლების რეფორმის მიზანი არის, რომ დაუხალოდვეს სასკოლო პროგრამა მისაღები გამოცდების პროგრამას. როდესაც მოსწავლეების არგუმენტებს ვისმენთ იმის შესახებ, რომ არ უნდათ ფიზიკა ისწავლონ, როდესაც იურისპრუდენცია აინტერესებთ, აბსოლუტურად გამართლებულია. არ უნდა დაკარგონ დრო და ენერგია რესურსი იმ საქმეში, რაც არ ჰქონდათ.

- ცვლილებები დაანონსდა მისაღები გამოცდების კუთხითაც, რასაც ისევ არაერთგვაროვანი რეაქციები ახლავს. თქვენი შეფასებით, რამდენად სწორია უნარების გამოცდის მოხსნა?

- ამ თემასთან დაკავშირებით, ვიქნები სუბიექტური, მორგებულნი უნდა ვიყოთ მოსწავლის ინტერესებზე. ბრალდებაზე, რომ ჩვენ გვინდა ყველა სტუდენტი გახდეს, ეს ასე არაა. ის, რომ სტუდენტი უნდა აბარებდეს მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, ისტორიას და უცხო ენას, მისაღები და აუცილებელია, რაც შეეხება უნარებთან დაკავშირებით: ეს არ უნდა იყოს მოსწავლეებისთვის ბარიერი და ხელისშემშლელი, რომ მან არჩევანი სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ გააკეთოს. მაინც ვთვლი, რომ უნდა იყოს არჩევანის თავისუფლება. პირობითად, სამართლის ფაკულტეტზე, რატომ უნდა აბარებდნენ უნარების გამოცდას და არა სამოქალაქო განათლებას. თუ გვინდა, რომ მივიღოთ პროფესიული კადრები, უნდა აიღოს ორიენტირი მათი პროფესიასთან კავშირში მყოფ მეცნიერებებზე. მესმის, რომ რეფორმების ხანაში ვცხოვრობთ და მუდმივად დაგვემძიო ცვლილებები აბნევს და დისკომფორტს უქმნის საზოგადოებას. მაგრამ ეს აუცილებლად გასაგებელი ეტაპებია, რომელიც საბოლოოდ მიგვიყვანს ერთიანი მოდელის შექმნამდე, რაც ხელს შეუწყობს სკოლის და უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების გაძლიერებას.

თ. ჯავახიშვილი



დიალიზზე მყოფ პაციენტებს მუნიციპალიტეტის მერია ფინანსურად ეხმარება

ხაშურის მუნიციპალიტეტის „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის“ შესაბამისად, თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების დახმარება მიმდინარეობს. პროგრამის მიხედვით, თითოეული პაციენტი, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, 500 ლარის ფარგლებში, ფინანსურ დახმარებას მიიღებს.

აღნიშნული საჭიროების მქონე პაციენტთა რაოდენობა მუნიციპალიტეტში 50 ბენეფიციარზე მეტია.

დიალიზის პროგრამით მოსარგებლე პაციენტთათვის სამედიცინო მომსახურებაზე უფასო ხელმისაწვდომობას სახელმწიფო უზრუნველყოფს.

ეკონომიკურ მოქალაქეებს 22 მილიონამდე ლარის მოცულობის ჯარიმა-საურავები ჩამოეწერებათ

სოციალურად დაუცველები, პენსიონერები, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები, შშმ პირები და მარტოხელა მშობლები ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლდებიან.

საქართველოს მთავრობამ იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი კანონპროექტი დამტკიცა, რომელიც სოციალურად დაუცველების, პენსიონერების, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების, შშმ პირებისა და მარტოხელა მშობლების ადმინისტრაციული სახდელისგან ერთჯერად გათავისუფლებას ითვალისწინებს.

პროექტი, ჯამში, 33 000-მდე საქმეს შეეხება. ინიციატივის თანახმად, მოქალაქეებს 22 მილიონამდე ლარის მოცულობის ჯარიმა-საურავები ჩამოეწერებათ.

სახდელისგან ის პირები გათავისუფლდებიან, რომლებმაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა 2019 წლის 15 იანვრამდე ჩაიდინეს. კანონი მოქალაქეებს, სახდელთან ერთად, მასზე დარიცხულ საურავებსაც ჩამოაწერს.

კანონპროექტის მიზანია, ფინანსური ტვირთისგან გაათავისუფლოს და გარკვეული შეგბა მოუტანოს სოციალურად დაუცველებს, პენსიონერებს, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს, შშმ პირებს, მარტოხელა მშობლებსა და მათ ოჯახებს, რომლებსაც ჯარიმისა და მისი გადაუხდელობის გამო დარიცხული საურავები მიიმე ტვირთად აწევთ.

მთავრობის სხდომაზე დამტკიცების შემდეგ, კანონპროექტი განსახილველად საქართველოს პარლამენტს წარედგინება.

ბარბარე ჭყვიანი 2018-2019 წლის ხაშურის „ეტალონ მოსწავლე“ გახდა

ილია ჭყვიანი სახელობის ქალაქ ხაშურის III საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე ბარბარე ჭყვიანი 2018-2019 წლის ხაშურის „ეტალონ მოსწავლე“ გახდა.

ინტელექტუალური კონკურსი „ეტალონის“ ფინალი ხაშურის №1 საჯარო სკოლაში 31 იანვარს გაიმართა და მასში მუნიციპალიტეტის სკოლების 82 საუკეთესო მოსწავლე მონაწილეობდა.

ბარბარე 86 ქულით გახდა პირველი ადგილის მფლობელი.

გამარჯვებულ მოსწავლეს წარმატება მიულოცეს ხაშურის საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ ჯანაშიელმა, მერის მოადგილემ ზურაბ ჩხიტიანი, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსმა კონსტანტინე ფრუიძემ, ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ზვიად გოგუაძემ, პედაგოგებმა და გულშემატკივრებმა.



„ეტალონის“ წამყვანმა და ავტორმა გონა ტყეშელაშვილმა საზღვარსაღწერიანი, რომ ხაშურში გამორჩეული მოსწავლეები არიან. მან



განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას, კულტურის სამსახურს, ადგილობრივ რესურსცენტრს, I საჯარო სკოლას და საპარლამენტო ბიუროს მხარდაჭერისთვის.

2018-19 წლის „ეტალონის“ ფინალში მეორე და მესამე ადგილებზე დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის მოსწავლეები ლუკა შუბითიძე და ანა ხეთაგური გავიდნენ.

2017-18 წლის „ეტალონის“ გამარჯვებულ მოსწავლე ალექსი ქურდაძეს კი საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშიელმა სამსახურით ფლოტ გადასცა.

- სკოლა -

ბიბლიური ათი მცნება - რა მინაარსი ღვს მათში?



აღის საჯარო სკოლაში სისტემატურად ტარდება სხვადასხვა დონის მცნებები, რომელშიც დიდი მონაწილეობით არიან ჩართული სკოლის მოსწავლეები. ამ დღეებში მე-8 კლასში ჩატარდა კლასის საათი თემაზე: „როგორ გვეხმარება ათი მცნება“. დონისძიებას ესწრებოდნენ მოსწავლეები: ეთერ შახპარუნოვი-ლოლაძე, დარიკო რთველიშვილი, ეთერ კაპანაძე და ჩვენს სოფელში არსებული კვირაცხოვლის სახელობის ტაძრის მოძღვარი- მამა ნიკოლოზი.


წაკითხული და განხილული იქნა თითოეული მცნება. მოსწავლეებმა გამოთქვეს აზრი, თუ როგორ ესმოდათ და როგორ იცავდნენ მათ. მამა ნიკოლოზმა მოისმინა მათი პასუხები, შემდეგ კი ბავშვების ასაკის და ცოდნის გათვალისწინებით, განმარტა ათივე მცნება და აღნიშნა, რომ ეს მცნებები ისეთი ყოვლისმომცველია, ასაკის მატებასთან ერთად, მოსწავლეები უფრო ღრმად გაიზრდებიან და გაანალიზებენ თითოეული მცნების არსს და მნიშვნელობას. მამა ნიკოლოზი ასევე შეეხო პრობლემებს, რომლებიც ცხოვრების როგორც დღევანდელ სინამდვილეს, ისე ზოგად კაცობრიულ არსებობასთან არის დაკავშირებული.

ერთი საგაკვეთილო დრო არ აღმოჩნდა საკმარისი და მოსწავლეებისთვის საინტერესო საკითხებზე საუბრის გასაგრძელებლად დაიგეგმა მეორე შეხვედრის ჩატარებაც.

ნათია ნოზაძე, მე-8 კლასის მოსწავლე

მოვედი და მომაქვს გაზაფხული

გიკვირთ, ხომ ჩემი დანახვა? ვიცი, რომ გიკვირთ! საიდან ვიცი? რა ცოდნა უნდა: რამდენი თქვენიანი მომიახლოვდა და თვალი მომკრა, ჯერ გაკვირვება ეხატა სახეზე, მერე კი სიხარული. რას არ ამბობენ: უი, ამ იანვარში ენძელა საიდანო... უი, გაზაფხული მოახლოვებულაო... ესეც ასე, გავტეხეთ ზამთარიო და სხვა ათასი... ჩემი დედოც არ მომფერებია ისე, როგორც ესენი მეფერებიან. ძალიან მიწყრებოდა დედა, ჯერ



ადრეა, იყავი თბილად მიწაში და მარტს დაელოდეთ, მაგრამ ისე მინდოდა მზის დანახვა, ვეღარ გაძლო გულმა და აგერ გესტუმრეთ კიდევ. ჩემი და-ძმები არიან ახლა გადარეულები, მათაც უნდათ მზის სხივებთან ლიცლიცი, ძლივს აკავებენ მშობლები-ეს ერთი გაბგეპარა და თქვენც რომ იგივე გააკეთოთ, დარდი მოგეკლავსო, მაგრამ ვიცნობ მე ჩემ და-ძმებს და აგერ ნახავთ, თუ ხვალ-ზეგ გვერდში არ ამომიდგებიან. მერე ნახეთ თქვენ! ახლა რომ ჩემს ხმას მხოლოდ თითო-ოროლას ვაწვდენ, ისინიც რომ მოვლენ, გედისფრად გადავპენტავთ მინდვრებს და ყველა ერთად, მთელი საქართველოს გასაგონად ვიყვირებთ: გიხაროდეთ, მოვედით და მოვიტანეთ გაზაფხული!

D კასი, რომლის სიკეთეს თესავს

არიან ადამიანები, რომლებსაც ნიჭიერება და სიკეთის თესვა უფლისგან აქვთ მომადლებული. სწორედ ასეთთა შორისაა ბატონი ვაჟა ძანაშვილი, რომლის დეაწლი და დამსახურება ძალზე დიდია. იშვიათია საქართველოში კუთხე, სადაც მას არ იცნობენ, იცნობენ, როგორც ღირსეულ და კარგ ქართველს. სადაც კი უმუშავია, იყო ეს მინისტრის ქარხანა, მეფრინველეობის ფაბრიკა, საკავშირო მნიშვნელობის საკისრების ქარხანა თუ ა(ა)იპ „სავანე“-ყველგან დატოვა თავისი კვალი და ყველგან დანერგა ინოვაციები.

ბატონ ვაჟას დღესაც ბევრი ადამიანი სთხოვს რჩევა-დარიგებებს, როგორც დიდი გამოცდილების მქონე განათლებულ პიროვნებას. ორი შვილის მამა და ხუთი შვილთაშვილის ბაბუა, დღესაც დიდი ენერჯით და ენთუზიაზმით ემსახურება ქვეყანას და საკუთარ საქმეს.

მინდა ჩემი და ჩემი თანამოაზრეების სახელით, გამოვხატო გულითადი მადლობა ბატონი ვაჟას მიმართ და ვუსურვო ჯანმრთელობა, ბედნიერება, ენერჯია, როგორც სამსახურებრივ საქმეში, ისე საკუთარ ოჯახთან ერთად. დიდხანს ეცოცხლოს ბატონ ვაჟას ამ ქვეყანაზე ერის საამაყო და ყველა ჩვენგანის საიმედოდ.

პატივისცემით, უმცროსი მეგობარი ნ. მოწონელიძე.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. ღირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

ბ-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.